გაზეთი ღირს			
თვეე	მან. კ.	თვეე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავგრძლოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტრიქვეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერიის“ 1-ლის ნოემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 2 მან. 57 კ.

ტფილისი, 29 ოქტომბერი

მოსკოვში არის ერთი საზოგადოება, რომელსაც ეძახიან „Московское Императорское общество любителей Садоводства“. თვითონ ეს სახელი გვაუწყებს რა საგანი აქვს ამ საზოგადოებას და რაზედ არის მიმართული მისი აზრი. ამ საზოგადოებას საგნადა აქვს ხეხილის განკარგების მზრუნველობა მთელს რუსეთში და, რასაკვირველია, დღეს აქამომდე ეგ მზრუნველობა ჩვენამდე არ მოღწეულა. ამის მიზეზი უსათუოდ ის უნდა იყოს, რომ იქაურებს აქ ჩვენშივე ეგულებათ, თუ არ სწორედ იმ გვარი საზოგადოება, როგორიც ზემოხსენებულია, მზგავსი რამ მაინცა. ამისთანა ქვეყანა, როგორიც ამიერ-კავკასიაა, ქვეყანა, რომელსაც ჰკავა, ადგილ-მდებარეობა და სხვა ბუნებრივი გარემოება შეძლებას აძლევს ხილითა და ღვინით თითქმის მთელი დიდი რუსეთი დააკმაყოფილოს და ის მილლიონები, რასაც რუსეთი ამ გვარებზედ ჰხარჯავს სამზღვარ გარეთელთა სასარგებლოდ, ისევ შინ დაინარჩუნოს, შინვე დაიტრიალოს—ეს ამისთანა ქვეყანა, ძნელი საფიქრებელია, რომ ასე უნუგეშოდ დარჩენილი იყოს ამ მხრით, როგორც დღეს არის. ამიტომაც საკვირველი არ არის, თუ ზემოხსენებულს საზოგადოებას ჰგონია, რომ ამ კარგა ბარაქიან წყაროს აქაურების სიმდიდრისას აქ ჩვენში პატრონი და მზრუნველი არა ჰყავნდეს. ხოლო «ჰგონია» და „არის“ ერთი და იგივე როდია.

ჩვენში თუ ვინმე ხილნარობას, ვენახობას და სხვას ამ გვარს სასოფლო მოქმედებას მისდევს, ცალკე, კერძოდ უნდა შეეჭიდოს, ცალკე იბრძოლოს, ცალკე იჭირნახულოს და ხელის მოშველებას, ხელის შეწყობას არსაიდამ არ უნდა მოელოდდეს. თქმა არ უნდა, რომ ცალკე ჭიდილი, ცალკე ბრძოლა, თუნდაც იმარჯვებდეს, მაგდენს ვერასფერს დააჩნევს საყოველთაო, საერთო კეთილმდგომარეობას და მრეწველობას ქვეყნისას ფეხზედ ვერ წამოაყენებს. იმას აღარ ვიტყვით, რომ ცალკე ჭიდილი ხშირად უღონოა. უღონოა ჯერ იმით, რომ ყოველივე სასოფლო მოქმედება ხანგრძლივს ხარჯსა და შრომას ითხოვს; იმოდენად ხანგრძლივს, რომ ერთის ცალკე კაცის სიცოცხლეც ვერ გასწვდება ხოლმე. ამ ხარჯს და შრომას ძნელად გაუძლებს ცალკე კაცის შეძლება და მარჯვენა. ამიტომაც ხშირადა ვხედავთ ხოლმე, რომ ამისთანა საქმეს თან გადაუყოლებია კეთილის მსურველი მოღვაწე, ქონებისა და ღონისაგან დაუცლია და კეთილად დაწყებული საქმე ჩაჰშლია თითქმის დაწყებისვე უმალ. გარდა ამისა, ცალკე მომჭირნეობა ამისთანა საქმეში მეტად ვიწრო მოედანზე მოქმედობს, კერძო კაცის ინტერესებში ტრიალებს და ამიტომაც საერთოდ, საყოველთაოდ ძნელად თუ გავლენას, ზედ-მოქმედებას იქონიებს. ქვეყნის რომლისამე მრეწველობის განკარგებას საერთო, საყოველთაო ღონე სჭირია, როგორც გონებრივი, ზნეობრივი, აგრეთვე ქონებრივიცა. ამიტომაც არ არის იმისთანა ქვეყანა, სადაც ეგ საჭიროება დანახული და სადაც ან შეერთებული ღონე საზოგადოებისა არ მიქცეულა ამაზედ, ან თვითონ სახელმწიფოსი. უფრო ხშირად კი თვითონ საზოგადოება მეთაურობს ხოლმე ამისთანა საქმეში; გულშემატკივარნი რომელისამე წარმოებისა შეადგენენ საზოგადოებას და წარმოების ხელმძღვანელობას ჰკისრულობენ. ამ შემთხვევაში მთავრობა მიეშველება ხოლმე ფულით და სხვა გვარ შემწეობით, რომელიც კერძო საზოგადოებისათვის ხელ-მიუწვდენელია.

ერთი ამისთანა საზოგადოება იგი საზოგადოებაა, რომლის სახელიც ამ წერილის თავში მოვიყვანეთ. ეხლახან ამ საზოგადოებას მოსკოვში კრება ჰქონია, გაუსინჯავს ჩვენებური ხილი და დაუსკვნია, რომ ამიერ-კავკასიაში იმისთანა ხილი მოდისო, რომ შეუძლიან მთელს რუსეთს გაუძღვესო და დიდ-ძალი ფული, რომელიც რუსეთს ამაზედ ეხარჯება, რუსეთს შინვე დაუნარჩუნოსო. დაწვრილებით ამ საგანზედ მერე მოვილაპარაკებთ.

ახალი ამბავი

*** მივაქცევთ ჩვენის მკითხველების ყურადღებას დღევანდელს ფელეტონზე. ამ ფელეტონში დაწვრილებით არის აწერილი გარეგანი მორთულობა როსტომ მეფის სასახლისა საქართველოში (როსტომ მეფე, ანუ შაჰ ნავაზი სცხოვრობდა მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს). ამ ფელეტონშივეა აწერილი საკმაოდ დაწვრილებით მეფის სადილი. შემდეგს ფელეტონში იქნება აწერილი ქორწილი მეფის ძმის-წულისა, რომელიც გარდახდილ იქმნა იმავე მეფე როსტომის სასახლეში.

*** გუშინ-წინ, მეუღლეს თავად ივანე ბაგრატიონ მუხრანსკისას, კნეინა დადიანის ასულს, წვეთი დაეცა და ამის გამო შუა ღამის შემდეგ სამს საათზედ გარდაიცვალა.

*** დღეს, ხუთშაბათს, ტფილისს ჩამოვა კ. ყიფიანი და მიიღებს მონაწილეობას ქართულს წარმოდგენებში. პირველად ითამაშებს კვირას, 2 ნოემბერს, სუნდუკიანცის კომედიაში „ხათაბალა“.

*** სოფ. ჩოხატაურითგან გვწერენ: ამ თთვის 15 ჩოხატაურში შემდეგი საზარელი ამბავი მოხდა: ღამის ათი საათი იქნებოდა, რომ დ. ჩოხატაურში ერთბაშად ცეცხლი გაჩნდა და უმეტესი ნაწილი ჩვენის სოფლისა გადაბუგა. თუმცა წყნარი ღამე იყო და თან კიდეც სწვიმდა, მაგრამ ვერც ამ გარემოებამ და ვერც დასახმარებლად მოსულთ სოფლელების თავ-განწირულობამ ვერ შეაჩერა ცეცხლი, რომელიც სისწრაფით გადადიოდა ერთის სახლიდამ მეორეზედ. მოვაჭრეთა უმრავლესობამ საქონლის გამოზიდვა მოასწრო, მაგრამ ზოგიერთს კი საქონელიც და სახლიც დაეწვა. სამწუხარო უფრო ის არის, რომ ცეცხლით დაზარალებულნი ზოგიერთნი მარტო თავის დუქნის შემაცქერალნი ყოფილან და სხვა სახსარი ცხოვრებისა არა ჰქონიათ. აი ეს საწყალები შეუბრალებელმა ცეცხლმა სულ ცარიელზედ დასვა.

*** წელს ხევსურეთში ბევრგან ჯერ კიდევ არ იყო შემოსული ყანები, რომ თოვლმა მოასწრო და დიდი ზარალი მისცა ამ მხარეს. წლეულ კიდევ არა უჭირთ რა, რადგანაც თიანეთის ახლო-მახლო სოფლებში თითქმის ყველამ მოასწრო გალეწა მოსავალისა. მომავალის წლისთვის თქვენს მტერს, რომ ამათ საქმე მოუვათ, ოქტომბრის ოცითგან გამუდმებით თოვლს და ჯერ-კი არც მოუხნავთ და არც დაუფარცხავთ. არც ზამთრისთვისა აქვთ არაფერი ნაზრუნი, რადგანაც ასე მალე არ მოელოდნენ თოვლსა და ყინვებსა...

*** ოქტომბრის 12-სა, გვწერენ სამეგრელოდამ, საღამოთი მე მოვემგზავრებოდი დაბა ახალ-სენაკითგან. მოვედი თუ არა მდ. ტეხურის ფონზე, იქ, სადაც რკინის გზის ხიდია,

ფელეტონი

პოეტი

ხან უგნური გარ, ხან ბრძენი;
ხან არც ისა გარ, არც ისა!
გარემოების საყვირი,
არც მიწისა გარ, არც ცისა.

—

ნუ მკიცხავ მნახო უგნურად,
ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა;
სულ სხვა ჰყავს ხელის-უფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა.

—

ეს გული სარკედ ქცეული
ბუნების ნათავსედია:
მხოლოდ მისს სახეს გიხვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია.

—

ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია;
ან თვალს უნახავს და ჭკუას
გაუზომ-აუწონია!

—

თქვენ რომ გგონიათ, ის არ გარ,
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!
შუა-კაცა გარ, უბრალო,
ხან მიწისა გარ, ხან ცისა.

აკაკი

შარდენი საქართველოში

IX

(შემდეგი*)

10-ს კაპუცინების პრეფექტმა მეფეს აცნობა ჩემი მოსვლა. მე თვითონ ვსთხოვე ეცნობებინა,—მოსამსახურენი მყავდა, ბარგი მქონდა, კაპუცინებთან ვიყავი ჩამომხდარი და ჩემი მოსვლა მაინც არ შეიძლებოდა არ გაეგო მეფეს, რადგან ყველაფერი დაწვრილებით იცოდა, რაცა ხდებოდა ტფილისში. იმას, რასაკვირველია, ისიც ეცოდინებოდა, რაც სამეგრელოში გადამხდა და რაზედაც ბევრსა ლაპარაკობდნენ. გარდა ამისა, მე ძალიან მოხარული ვიყავი მეფე მენახა და მეჩვენებინა მისთვის შაჰისაგან მოცემული ქაღალდი. ეს ქაღალდი მიწერილი იყო ყველა თემების გამგებლებთან და ნაბრძანები ჰქონდათ, რომ კარგად მიეღეთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ როდესაც მეფე წაიკითხავდა ამ ბრძანებას, ძალიან კარგად მიმიღებდა და კაცებსაც გამომაყოლებდა გზაზედ, და კაცების გამოყოლა-კი ძალიან საჭირო იყო ჩემთვის. როდესაც შაჰ ნავაზს გაეგო ჩემი ვინაობა და შეეტყო, რომ განსვენებულ შაჰისაგან ვიყავ გაგზავნილი იმის საქმეზედ ევროპაში, პრეფექტისთვის ებრძანებინა: უთხარით ჩემ მაგიერ, რომ ის ჩვენთვის ძვირფასი სტუმარიაო, რომ ძალიან მიამა იმისი მოსვლა და სასიამოვნო იქმნება ჩემთვის, რომ რაც შეიძლება მალე მოვიდეს ჩემ სანახავადაო. მე არც შემეძლო და არცა მსურდა მაშინვე ეხლებიყავი მეფეს; მინდოდა ჯერ სამგზავროდ მოვემზადებულიყავ, მერე მენახა მეფე და წავსულიყავ კიდეც, რომ ყოველ-დღე არ მევლო მეფის კარზედ. მე ვსთხოვე მამა რაფაელსა, მეფის ექიმს: მოახსენეთ-მეთქი მეფეს, რომ ფრიად სასიამოვნოა ჩემთვის, რადგამ კეთილ-უნებებია მეფეს და აგრე შეუწყნარებივარ, უსათუოდ ვეახლები, როგორც-კი მოვახერხებ; ეხლა-კი ისეთს მდგომარეობაში ვარ, რომ ამ ათს დღეს ვერ ვეახლები, კარზედ გამოსვლა არ შემეძლება-მეთქი. არ ვიცი მამა რაფაელმა არ მოახსენა ჩემი ბოდიში მეფეს, თუ მეფემ არ შეიწყნარა, 12-ს დილით კი მეფემ შემომითვალა ერთის კეთილშობილის პირით: ამ კვირია ყოველდღე შექცევა გვექნება სასახლეში და გთხოვ, შენც მობრძანდეო. მე ძალიან შევკრთი და დავლონდი. შევეხვეწე პრეფექტს და მამა რაფაელს ჩააგონეთ-მეთქი მეფეს, რომ ჯერ-ხანად არ შემიძლიან ვეახლო, მომავალ კვირამდინ დამაცადოს და მაშინ ვეახლები-მეთქი. კაპუცინებმა აღმითქვეს, აგასრულებთ შენ სურვილსაო, თუმცა ვერაფერი-კი გაარიგეს. წავიდნენ სასახლეში, მაგრამ მაშინვე დაბრუნდნენ და მითხრეს, რომ მეფეს მოუთმენლად ჰსურს ევროპის ამბავი შეიტყოს შენგანაო, ნამდვილად-კი თურმე თვით კაპუცინებს უნდოდათ, რომ მალე მეფის წინაშე წარვედგინეთ, რადგან სპარსეთის შაჰის მახლობელი ვიყავ. და თვით კაპუცინებსაც თავი მოსწონდათ, რომ მე იმათი თანა-მემამულე ვიყავი. იმათ ეგონათ, რაკი მე წარმადგენდნენ მეფის წინაშე, მეფე უფრო მეტს პატივსა სცემდა თვით კაპუცინებსაც. კაპუცინებმა მე და ჩემს ამხანაგსა გვთხოვეს: რომელიც უფრო საუცხოესო ტანისამოსი გაქვსთ, ის ჩაიცვით და მეფესაც კარგი ძღვენი მიართვითო. მე ავასრულე იმათი ყოველივე სურვილი, როგორც-კი შემეძლო, რომ ამით გარდამეხადა მათთვის ის დიდი სიკეთე, რომელიც მათგან მახსოვდა და რომლითაც დავალებული ვიყავ.

შუა-დღე მოტანებული იყო, როდესაც ჩვენ სასახლეში წავედით. პრეფექტი და მამა რაფაელიც წამოგვყვნენ. სადილად ჩვენ გველოდნენ. მეფე დარბაზში ბრძანდებოდა; დარბაზი სიგრძით ას ათი ფუტი *) იყო, სიგანით ორმოცი; სასახლე მტკვრის პირზედ იდგა და მტკვრის დარბაზი ახდილი იყო. საროთით **) ნაკეთებს დარბაზის ჰერს რამდენიმე დახატული და ოქროთი მოვარაყებული სვეტი იმაგრებდა; სვეტებს სიმაღლე ოც-დათხუთმეტ ფუტიდამ ორმოც ფუტამდინ ჰქონდა. მთელი დარბაზი შვენიერის ორხოებით იყო მორთული. მეფე და დიდებულნი შემოსხდომოდნენ სამ პატარა ბუხარს. ეს ბუხრები და რამდენიმე მაყალი ისე კარგად ათბობდნენ დარბაზს, რომ კაცი სიცივეს სრულებით ვერა ჰგრძნობდა. მეფე შაჰ-ნავაზს მიმსვლელნი ისევე

*) იხ. „ივერია“ № 224.

*) ფუტი ფრანგული საზომია: შვიდი ფუტი ერთს საჟენს შეადგენს.

**) საროთი—ძვირფასის თვალითა და აღრალებითა-მიერ შემკობილი და მოჭედილი.

და საკმაოდ დაბნელდა კიდეც,—მხოლოდ მდინარის შუქით შეეძლო კაცს გაღმა ნაპირზე მდგომნი შეენიშნა. შეველი თუ არა ფონში გასასვლელად; დავინახე, რომ გაღმიდამ რამდენიმე ცხენოსანი ჩამოვიდა ფონად. დავუპირდაპირდით თუ არა ერთმანერთს, შუა წყალში ერთი იმათგანი უეცრად ჩამოვარდა ცხენითგან და გაიტაცა მდინარემ; იმ წამსვე ისკუპა მეორე ცხენოსანმა, გადაერია ყელამდინ წყალში და გამოუდგა პირველს.

ტეხურას არაგვიანმა და მძლავრმა ზვირთებმა გაიტაცეს ეს და ტრიალ-ტრიალით გააქანეს საბრალონი მორევისკენ, მაგრამ დაუყოვნებლივ შეიგროვა ძალა მშველელმა და გაეკიდა ფეხით ცხენიდამ გადავარდნილსა. მშველელი მიეწია, სტაცა დაღუპულს ხელი და დააყენა ფეხზედ, მაგრამ საწყალი ვერ ჩერდებოდა ზეზე, რადგან წყლის ტალღებისაგან იყო ნაცემი და თავ-ზარ დაცემულს გონება დაჰბნეოდა. მშველელმა შეჰქმნა ყვირილი. შეგროვდა ხალხი და სხვათა-შორის ამ ფონში გაჩნდა ერთი ურმიანი გლეხიც (ბაბუ კილასონია), რომელსაც შესძახა ბრძანების კილოთი: ურემი მოგვაშველეო; ვიხრჩობით, ჩქარა მოგვაყენე ურემიო. მეურმემ ურემი მიაშველა და დავინახეთ, რომ მას გაეგდო მხარზე ტალმაში გახვეული ქალი, მკერდზედ მიკრულის ბავშვით, მიიყვანა ურემთან და ზედ ურემზე შესვა. გავიდნენ მდინარის მეორე ნაპირას; გავედით ჩვენც და დავინახეთ, რომ წყალში ჩავარდნილნი სრულიად უვნებელნი იყვნენ. აღმოჩნდა, რომ ის კაცი, რომელმაც ასეთი გმირობა გამოიჩინა, იყო მამასახლისი ნოსირის (სოფელია სენაკის მაზრაში) საზოგადოებისა, გიორგი ოდიშარია, და დაღუპვას გადარჩომილი კი ცოლის და უკანასკნელისა (მეტია ჯოჯუას ასული), თავის ორის წლის პატარა ქალით, რომელიც გულში ჩაკონებული ეპირა საცოდავს დედას ამ უბედურების დროს, და მასთან, როგორც თვითონ აღიარა ამ ადამიანმა, მუცელ ქმნილადაც ყოფილიყო. ამ სახით გადაარჩინა სიკვდილს გიორგი ოდიშარიამ ორსული ადამიანი თავის პატარა ქალითა.

*** ტფილისის საქალაქო გამგეობას განუზრახავს დაარსოს ტფილისში კომიტეტი ვაჭრობისა და მრეწველობისა და ამ აზრით ეხლა ცნობებსა ჰკრეფავს ამ საგნის თაობაზეო, ამბობს გაზ. „კავკაზი“.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ თერგის მაზრაში მთიულებს ძალიან ცოტასა სცოდნია რუსული ენაო. ამის მიზეზი ის არის, რომ იქითკენ სკოლა არ არის გამართული მთიულებისათვისაო. ამ საგნისათვის აგერ რამდენი ხანია იკრიფება სოფლის საზოგადოებათაგან ფული, კომლზე 30 კაპ., ასე რომ ამ ჟამად სულ 15,000 მანათია შეგროვილიო, მაგრამ სკოლა-კი მაინც არ გაუმართავთო.

*** ერთი რუსული გაზეთი ამბობს, რომ უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს, ერთი სატელეგრაფო მავთული კიდევ გაბას ტფილისსა და სიღნაღის შუა მერმისსაო.

*** პრაპორშჩიკის შენინგის გამოვო, ამბობს გაზ. «ნოვ. ობოზ.», სხვა-და-სხვა ჭორი დადის ქალაქში ამ ჟამად. იმასაც ამბობენ, ვითომ შენინგს თვით არ დაუჭრია სასიკვდილოდ თავი, არამედ სხვამ დასჭრაო, მაგრამ ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ შენინგის სიკვდილი არავის არა ჰბრალდება და ამ საქმის გამო არაფერი გამოძიება არ სწარმოებსო.

*** გაზ. „მშაკსა“ სწერენ ველისციხიდამ ერთს საოცარს ამბავსა: აქ დარბოდა გაგიჟებული კამეჩი და ვისაც არა მგონია ერჩოდაო; ორი ქალი კიდეც მოკვდა ამ კამეჩის რჩოლის გამოვო. ბოლოს კამეჩი მიეტანა ერთს გასათხოვარს ქალს. ქალი მიეყუდა კედელს, სტაცა ხელები რქებში გაცხარებულს პირუტყვსა და რამდენსამე ხანს დაიმორჩილა ამ გვარად, ვიდრე ხალხი არ მიეშველა და ეს გმირი ახალგაზდა ქალი სიკვდილს არ გადაარჩინესო.

*** გაზ. «კავკაზი» ამბობს, რომ კაპარის წნილს დიდი გასავალი აქვს ევროპაშიო. მხოლოდ რამდენიმე ალაგია იქ ისეთი, სადაც მოდის კაპარიო. საქართველოში და საზოგადოდ კავკასიაში ბევრგან გვინახავს კაპარი, მაგრამ აქაურნი მკვიდრნი ყურადღებას არ აქცევენ ამ მცენარის მოვლასა და მოყვანასაო. სასურველია, რომ ეს ახალი წყარო შემოსავლისა ასე მივიწყებული არ იყოს კავკასიაშიო.

*** 28 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ, ცოფიანმა ძაღლმა უკბინა მარცხენა ხელზედ მე-10 ნაწილის პოლიციელს, ალაზეგ-ალავეგს, როცა ეს პოლიციელი იფარავდა წერეთლის ყმაწვილს ამ ცოფიანის ძაღლისაგან. ძაღლი მოჰკლეს, ექიმებმა გასჭრეს და დაამტკიცეს, რომ სწორედ ცოფიანი ყოფილაო. წერეთლის ყმაწვილისათვის მხოლოდ ტანისამოსი დაეხია ძაღლს და კბენით-კი არ ეკბინა. დაცოფილი პოლიციელი სავაგდ-მყოფში იქმნა გაგზავნილი.

ნაკვესი

აკაკისა ჰკითხეს:

— რას მივაწეროთ, რომ ეს და ეს კატა როცა მთვრალია, კარგად ლაპარაკობს და სასიამოვნოც არისო და თუ ფხიზელია, მაგისი ვერა გაგვიგია-რა?

— უთუოდ როცა თვრება რაც, თქვენ არ მოგწონსთ, იმასა ჰკარგავსო, უპასუხა პოეტმა.

კავკასიის სამეურნეო გამოფენის გამართვა ტფილისში.

სწორედ ამ ხუთის თთვის წინად ბ-მა დინგელშტეტმა, წევრმა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისამ, წაიკითხა საერთო ხსენებულის საზოგადოების წევრთა კრებაზე მოხსენება ჩვენს ქალაქში კავკასიის სამეურნეო გამოფენის დაარსებაზედ. ამ ჟამად ამ მოხსენების თანამგრძნობელნი ბევრნი აღმოჩნდნენ და ამის გამო საზოგადოებამ ამოარჩია კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია ე' საგანი და შეედგინა პროექტი. გუშინ, 27 ოქტომბერს, ზემოხსენებულს სამეურნეო საზოგადოებაში იყო კრება, სადაც სხვათა შორის, საზოგადოების სეკრეტარმა წაიკითხა კომისიის მოხსენება გამოფენის თაობაზედ. კომისიამ ბ-ნ დინგელშტეტის თავ-მჯდომარეობით განიხილა შემდეგი საგნები:

1) რა პროგრამით გაიმართოს გამოფენა. 2) როდის უნდა გაიმართოს. 3) სად გაიმართოს. 4) რა ღონით შეიძლება მოხერხდეს, რომ ექსპონენტები ბლომად დაესწრნენ. 5) რა საშუალება და წყარონი გვექმნება გამოფენის გასამართავად. 6) გასინჯვა და დაფასება გამოფენილ საგნების ღირსებისა.

კომისიის ფიქრით, ტფილისში უნდა დაარსდეს გამოფენა იმ ნაირის საგნებისა, რომელიც გააქვთ გასასყიდათ სხვა-და-სხვა ქვეყნებში და აგრეთვე იმ ნაირის ნაწარმოებისა, რომელიც, თუმცა ამ ჟამად არ გააქვთ, მაგრამ რომლის გატანაც სამერმისოდ შესაძლებელია. ამის გამო კავკასიის გამოფენა უნდა შესდგეს შემდეგის 12 განყოფილებისაგან:

1) განყოფილება ხვნა-თესვისა. ამ განყოფილებაში იქნება გამოფენილი სხვა-და-სხვა ხორბლეულობა და აგრეთვე მინდვრის მცენარენი. 2) განყოფილება ხილეულობისა და ბოსტნეულობის მოსავლისა. 3) ღვინის დაყენება. ღვინოების გარდა იქნება გამოფენილი ყურძნის საწურავი მაშინები, ბოჭკები და სხვა იარაღნი, რომელნიც იხმარებიან რუსეთში და საზღვარ-გარედ ღვინის დაყენებისათვის. 4) ტყის გაშენება, ღერწამი, და კალათების წნვა. 5) აბრეშუმეულობის განყოფილება. პარკი, ამოხვეული აბრეშუმი და აბრეშუმის ქსოვილი. 6) საკვებავი ნივთიერებანი. (ფქვილი, სახამებელი, კრუპა, მაკარონი და სხვა). 7) თამბაქოს განყოფილება. 8) სხვა-და-სხვა მცენარისაგან გამოხდილი ზეთი, სამღებრონი, სპირტი და არაყი. 9) საქონლის მონაცემი (ტყავი, მატყლი, ყველი). 10) ბამბა, ყოველ-გვარნი დასართავი მცენარენი, სელი, კანაფი, ჩინური ჭინჭარი. 11) იარაღნი მიწის შესამუშავებელი. ამ განყოფილებისათვის უნდა მოიწვიონ რუსეთის და უცხოეთის ექსპონენტები, იმიტომ რომ გააცნონ ჩვენს ქვეყანას სამეურნეო მაშინების ხმარება. 12) ხელსაქმის ნაწარმოები სოფლელის მხვნელ-მთესველისა (кустарная промышленность).

სამთო განყოფილება შეიძლება გაიმართოს მარტო იმ შემთხვევაში, თუ ამის გამართვაში მონაწილეობას მიიღებს კავკასიის სამთო უწყება. თუ ეს განყოფილება გაიმართა, აქ იქნება გამოფენილი ნავთი, რკინისა და სპილენძის მადნეულობა, მარგანეცი და სხვანი.

დაწვრილებულის პროგრამების შედგენა ყველა განყოფილებისათვის უნდა ჩაჰბარდეს სხვა-და-სხვა წევრთა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათა. ექსპონენტების მოწვევისათვის უნდა მოიხმარონ და მოიშველიონ ადმინისტრაცია და ადმინისტრაციის გარდა კიდევ იმ ადგილებში, სადაც სამრეწველო წარმოება მეტად არის გავრცელებული, უნდა დაინიშნონ მცოდნე კაცები და ამათ უნდა მოაგროვონ ყველა საჭირო საგანი გამოფენისა. ეს კაცები რიცხვით ოთხნი მაინც უნდა იყვნენ. კომისიის ფიქრით, გამოფენის გამართვა უკეთესი იქნება მომავალ 1887 წელს; მაგრამ შემდეგ, როცა კრებამ კარგად განიხილა ეს საქმე, აღმოჩნდა, რომ ზემოხსენებული ვადა ძალიან მოკლე არის გამოფენის მოსამზადებლად და ამის გამო ირჩიეს გამოფენა გადაედოთ 1888 წლამდე. ადგილი გამოფენისათვის კომისიას ამოურჩევია ცარიელი მიწა ქალაქისა, რომელიც არის მუშტაიდის მახლობლად, ცხენის-რკინის გზის თაელებთან. სულ ხარჯი გამოფენის გამართვას მოუნდება ვიდრე 30,000 მან., რომელიც კომისიას სახეში აქვს სთხოვოს სხვა-და-სხვა საზოგადოებისა და მართებლობის დაწესებულებასა; მაგრამ მოხსენებული წყაროები ნამდვილი და იმედიანი არ არის და ამიტომ ფულის მხრივ გაჭირება იქნება. ხოლო ამ საგანზედ ერთი სანუგეშო ამბავი შეატყობინა კრებას ბ-მა თავ-მჯდომარემ, ი. ს. ხატისოვმა. სამეურნეო საზოგადოებას უნდოდა მოეწვივნა ქალაქის გამგეო-

---

აძლევენ სალამს, როგორც თვით შაჰს: ორ-სამ ნაბიჯზედ რომ მიუახლოვდებიან, მუხლს მოუდრეკენ და სამჯერ ზედი-ზედ მიწამდინ დაჰხრიან თავს. ევროპიელებს ეძნელებათ ხოლმე, რომ ესე მიესალმნენ აღმოსავლეთის მეფეებს. მართლადაც და რადგან ამაზედ მდაბლად თაყვანება აღარ შეიძლება, ამისთვის ესეთი თაყვანის-ცემა მხოლოდ ღმერთს შეჰფერის. ხან-და-ხან ევროპიელებს გაანთავისუფლებენ ხოლმე ამ გვარის სალამისაგან, რადგან სხვა ქვეყნისანი არიან და ჩვენებური ქცევა არ იციანო. მე მეფეს სამჯერ მდაბლად დაუკარ თავი, მაგრამ მუხლი-კი არ მოვიყრია. შემდეგ ორმა დიდებულმა მთხოვა, რომ დავმჯდარიყავ. მე არ მოვინდომე კაპუცინებზედ თავს დაჯდომა, თუმცა კეთილშობილნი და აგრეთვე სახლთ-უხუცესი, რომელიც შუა დარბაზში იდგა, მთხოვდნენ ზევით დამეჭირა ადგილი. მე სასიამოვნოდ მიმაჩნდა, თავაზა გამეწია კაპუცინებისათვის და მინდოდა, რომ ისინიც თავაზიანად მოჰქცეულიყვნენ. პრეფექტს ძალიან მოეწონა ჩემი ქცევა და თვითონვე მოისურვა და მთხოვა, ჩემს ამხანაგზედ თავს დავჯექიო.

ერთმა კეთილშობილთაგანმა ჩამოართო კარებში შაჰისაგან ბოძებული ქაღალდი, რომელიც ხელში მეჭირა, და მეფესთან მიტანილი ძღვენი, დააწყო ყველა ეს ვერცხლის დიდ ტაბაკზედ და, როდესაც მე სალამს ვაძლევდი მეფეს, მეფის ფეხთ ახლო დადგა. მეფემ აიღო ბრძანება, წამოდგა ზეზე, გახსნა, მიიტანა ტუჩებთანა და შუბლთან და შემდეგ თავის ვეზირს გარდასცა. ვეზირს უნდა წაეკითხა და შეეტყობინებინა მეფისთვის ქაღალდის შინაარსი. ამ ამბის შემდეგ მეფემ დიდის ყურადღებითა და სიამოვნებით დაათვალიერა ძღვენი. ძღვნად მივართვი ერთი დიდი საათი ჩუქურთმით ნაკეთებისა და მოვარაყებულის ვერცხლის კოლოფით; ერთი ვერცხლში ჩასმული ბროლის სარკე, ერთი სევადით მორთული ოქროს პატარა კოლოფი თრიაქის აბებისათვის—სპარსების უმეტესი ნაწილი დღეში რამჯერმე ჰხმარობს ამ აბებს,—ერთი ლამაზად შემკული და დიდის ხელოვნებით გაკეთებული სახირურგო იარაღების ბუდე და მშვენივრად გაკეთებული და ძალიან საუცხოვო დანები.

ვეზირმა ბრძანების ქაღალდი წაიკითხა და მდაბალის ხმით გადასცა მეფეს შინაარსი. როგორც შემდეგ გავიგე, მეფეს და მის შვილებს ეთქვათ, რომ ესეთის პატივის-ცემით დაწერილი ქაღალდი არ გვინახავსო. დიდებულებს უკვირდათ, რომ ამ ქაღალდის ბრტყელი არშია მშვენივრად იყო მორთული ვარაყითა და მხატვრობითა. მეფემ ბრძანა, რომ გადაეღოთ პირი ამ ქაღალდისა.

მე არაფერი არ ვუთხარი მეფეს, როდესაც მიევსალმე და არც იმას უთქვამს ერთი სიტყვა. შემდეგ, სუფრაზედ, მეფემ სუფრაჯის ხელით გამომიგზავნა ოქროს თეფშით ნახევარი ერთის დიდის პურისა, რომელიც მის წინ იდო და შემომითვალა, რომ ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი აქ ყოფნაო. ცოტა ხნის შემდეგ მეფემ იკითხა: რა ისმის იმ ომისა, რომელიც ოსმალებსა და პოლშელებსა აქვთო. მეორე თავი საჭმელი რომ შემოიტანეს, მეფემ გამომიგზავნა თავისი სასმელი ღვინო იმ თასით, რომლითაც თვითონ მიირთმევდა.

ღვინო ოქროს სევადით მორთულ სალვინეში იდგა. თასიც ოქროსი იყო, გარეთგან ლალითა და ფირუზით მოჭედილი. ერთმა კეთილშობილთაგანმა მოგვართვა ეს ღვინო და მეფის მაგივრად გვითხრა: მიირთვით, იმხიარულეთ, ნუ მოგიწყენიათო. შემდეგ, მესამე თავი საჭმელი რომ შემოიტანეს, მეფე უფრო დაგვეტკბა. მოიტანეს შემწვარი. მეფემ გამოგვიგზავნა შემწვარი ხოხობი, ორი კაკაბი და ირმის ფეხო, და შემოგვითვალა: თუმცა ნადირის ხორცზედ ღვინო კარგია, მაგრამ მე მაინც ვუბრძანე, ძალა არ დაგატანონო. მე ყველა ამ გვარ თავაზიანობაზედ მდაბლად ვუკრავდი თავს და არაფერს პასუხს არ ვაძლევდი. კაპუცინებიც ესრევე იქცეოდნენ. სპარსული ჩვეულება ასეთია: წესად არ არის მიღებული, რომ სხვაფრივ გადაუხადონ მადლობა პატივის-ცემისათვის.

აღარ გავაგრძელებ სიტყვას იმაზედ—თუ რა წესიერება და დიდი მოკრძალება სუფევდა ამ შექცევის დროს; მხოლოდ ამას ვიტყვი: ღვინო ბევრი სვეს, გასაოცარი სიუხვე იყო ხორაგისა, სასხნილოც მოჰქონდათ და სამარხოც, რადგან სადილზედ პატრიარხი და ეპისკოპოზებიც იყვნენ, რომლებიც თავის დღეში არა სჭამენ ხორცს. ჩვენ სადილზედ სამი საათი ვისხედით და მერმე ავდექით. სხვა სტუმრები ზოგნი კიდეც წასულიყვნენ შინ. მწვადი ჯერ კიდევ არ აელაგებინათ სუფრიდამ. წამოსვლის დროს დიდი მადლობა გარდავუხადეთ მეფეს. იმან ერთხელ კიდევ შემომითვალა, სასიამოვნო სტუმარი ხარო და უბრძანა გავეცილებინეთ შინ.

14-ს, მეფეს გამოეგზავნა ჩემთვის ორი სალვინე ღვინო, ორი ხოხობი და ოთხი კაკაბი. კეთილშობილმა, რომელმაც მოსაკითხი მოატანინა, მითხრა: მეფემ შემოგითვალა, ხომ არაფერი გიჭირს, კაპუცინები ხომ კარგად გართობენო; თუ ჩემი გამოგზავნილი ღვინო მოგეწონოს, ყოველ-დღე წაიღებინე ხოლმე ჩემ სარდაფითგანაო. მე დავაბარე კეთილშობილს: დაარწმუნეთ მეფე, რომ ჩემი მასპინძლები არას მაკლებენ, და ჩვენ ერთად დავლევთ მეთქი მის გამოგზავნილ ღვინოს მის სადღეგრძელოდ. იმ ღვინოზე უკეთესი ღვინო აღარ შეიძლებოდა.

გ. ბარნოვი

(შემდეგი იქნება)

№234

ბა დასახმარებლად გამოფენის გამართვაში. ამ საგანზედ ბევრს ხმოსნებს და აგრეთვე ბ-ნს ქალაქის თავს მატინოვს დიდი თანაგრძნობა გამოუცხადებია კერძოდ და დაჰპირებიან შემწეობას, როგორც ფულით, ისე სხვაფრივაც.

შემდეგ კომისიის აზრით, გამოფენას გასართობი, გარეგანი სიმშვენიერე უნდა მიეცეს და აგრეთვე და სხვა-და-სხვა ნაირი სალხინო გაიმართოს, რათა ამით ხალხისათვის უფრო სახარბიელო და მიმზიდველი სანახავი იყოს. სალხინოთა შორის, კომისიას აზრად აქვს გამართოს გამოფენაზე სახალხო თეატრი, კონცერტები, მუზიკა, აუშვას ხოლმე შუშხუნები და სხვა. ყოველივე ამ გვარი გასართობი უფასოდ სანახავი უნდა იყოს. ამავე აზრით, უნდა ნება მიეცეთ რესტორანების პატრონებს, იქონიონ გამოფენაში თავიანთი რესტორანები და სხვა-და-სხვა ხელოსანთა-თავიანთი სახელოსნოები, სადაც სუყველას თვალ წინ უნდა აკეთონ სხვა-და-სხვა ხელ-საქმე. ამას გარდა იქ უნდა ყველას თვალ-წინ აკეთონ ყოველ-გვარი ნივთები, რომელსაც-კი სხვა-და-სხვა ნაირი ტეხნიკური შემუშავება უნდა.

გამოფენილის ნივთების ღირსების დასაფასებლად იქნებიან მოწვეულნი ბევრნი გამოჩენილნი პროფესორები და სწავლულები რუსეთიდამ. ახლა ჯერ საზოგადოება ცდილობს სწორედ შეიტყოს, რამდენი ფული რა წყაროდან შემოუვა და რამდენი შეიძლება მოიხმაროს გამოფენის გასამართავად, და შემდეგ რამდენადაც ღონე და შეძლება ექნება, იმისდა გვარად შეუდგება თავის საქმესა გამოფენის გამართვისას ტფილისში.

დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ოსიაური: გავიდა გრილი ზაფხული და! გვეწვია სუსხიანი შემოდგომა. აცივდა, საშინლად აცივდა! ერთის კვირის მუდმივმა სიცივეებმა ცოტა არ იყოს შეაფიქრიანა ზემო-ქართლი. ეს შეფიქრიანება ტყუილ-უბრალოდ არ გამოდგა, რადგანაც ეს ოთხი დღე იქნება, რაც თოვლით შეიმოსა ზემო-საციციანოს და ბალდადის მთები. ცივს ღამეებს რთვილიც თან მოჰყვა 22 ენკენისთვის ღამეს და აქა-იქა ვენახებთან ადგილებს მისცა საგრძნობელი ზარალი. ამ ნაადრ რთვილს მეტის-მეტ მკაცრ და ცივ ზამთრის წინამორბედად სთვლიან. უცქერის საწყალი გლეხი ამ თეთრად წამოქოტილს და ძირს გადმომცქერს მთებს და დალონებული შესდგომია ზამთრისათვის საჭირო შეშის შოვნას: გლეხი-კაცი ბედნიერად სთვლის თავის თავს, თუ საზამთროდ შეჰყვა ცოტაოდენი პური, სიმინდი და თუ კარგი ღულუნა ბუხარი მუდამ გაუქრობელი ექნება. მიწის მომქმედს განუწყვეტელი შრომა აქვს: გაზაფხულზედ ჰხნავს და სთესავს, ცოტა დროს თუ იპოვის, ქირაზედაც მიდის, მერე ხომ მკა და ლეწვაც მოატანს, შემდეგ სიმინდს რამდენჯერმე გათოხნა უნდა და ბოლოს სახლში მიტანაც. ამ წელს ზემო-ქართლში კარგი მოსავალი იყო და უფრო კარგი იქნებოდა, მეტის-მეტ წვიმებს ზოგან პური რომ არ აეჩალა.

აი გლეხმა შეიტანა სახლში ჭირნახული; გაისტუმრა კიდეც ბატონი, მღვდელი, სოფლის მოხელეები...

და მიწის მუშა გუთანს კიდეც ჰკიდებს ხელს. გამართეს ყველგან გუთნები და არე-მარეს მოედო „ჰოროველა“ თავის „გადი-გამოდი გუთანო, ღირღიტავ ბანი უთხარი, აწ შენი ჭირიმე სახნისო“-თი. მიდის გუთანი და შუაზედ აპობს მაგარ მიწას; გუთნისდედა «ჰოროველათი» ამხნევებს წელ გაჭიმულ საქონელს და ახალგაზდა მეხრეებს. ყველგან ისმის „ჰოროველა“ და ამ „ჰოროველაში“ გლეხი შესტირის რაღაც მაღალ ძალას, შესტირის გადაბრუნებულს მიწას, რომელსაც შვილივით აბარებს შრომით და ოფლით მოგროვილს ჩანახს. გავა რამდენიმე კვირა და ეს უზარმაზარი და ნაყოფიერი მინდვრები შავად შეიმოსება, რომ ისევ გაზაფხულის პირზედ მწვანეთ აბიბინდეს მუშის თვალის გასახარებლად.

ზემო-ქართლი პურის ქვეყანაა და შეიძლება საქართველოს პურის ბეღელი დაეარქვათ. ზემო-ქართლში ითესება ბევრი პური, სიმინდი და ცოტა ქერი; ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში მაინც სიმინდმა დიდი ადგილები დაიჭირა და თითქმის ქერიც გამოაძევა.

რადგანაც პურისა და სიმინდის დიდი მოთხოვნილებაა, ამის გამო ხალხმა ნელ-ნელა თავი მიანება ამისთანა სასარგებლო მცენარეებს, როგორც: სელს, ფეტვს, შვრიას და მუხუდოსაც-კი. მთლად აქაური მოსავალი: პური რიცხვით 35,000 ფუთამდინ, სიმინდი—20,000 ფ. და კიდევ თივა 25,000 ფ., მიაქვთ ხაშურის, ქარელის და გომის რკინის გზის სადგურებიდამ. აქაური ჭირნახული იგზავნება უფრო სამზღვარ-გარეთ.

ეხლა მთელი ზემო-ქართლი სავსეა ყოველ-გვარის პურის-ვაჭრებით, რომლებიც სიამოვნებით აძლევენ ფუთს პურში 65—70 კ. და სიმინდში—45 კ. ჩვენი გლეხი ბევრს მუშაობს, მაგრამ იმის კეთილ-დღეობას კიდევ ჯეროვანი ფერი არ დასდებია; უპირველესი მიზეზი ის არის, რომ მუშაკი მოკლებულია თავის მიწის მოთხოვნილების ცოდნას, სასარგებლო ცნობებს და არა აქვს დროის შესაფერი მიწის სახნავი იარაღი. ამ გვარსავე გაჭირებაში არიან გაუნათლებელნი მამულთ-მეპატრონენიც. ჩვენ ხალხს რომ ცოტაოდენი რიგიანი მიწის-მოვლის ცოდნა ჰქონდეს, მაშინ დარწმუნებული ვარ, რომ გორის მაზრაში ორჯელ და სამჯერ მეტი მოსავალი მოვიდოდა, ვიდრე დღეს მოდის. ამ მხრით კარგი იქნებოდა, რომ ზემო-ქართლში სახალხო სამეურნეო სკოლა და ქვემო ქართლში საბოსტნე-სავენახო სასწავლებელი გაემართათ.

ამ სკოლებში მომზადებული და გაწრთვნილი ყმაწვილი შინ დაბრუნებისათანავე შეიტანს ბევრს ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნასა.

გ. ვაზ—ლი

სოფ. ხორგა (ზუგდიდის მაზრა) გაჭიმულია მდინარე ხობის ნაპირებზედ—სოფ. ხობიდამ დაწყებული ქ. ყულევამდის და სიგრძით 30 ვერსტი და სიგანით 16 ვერსტი იქნება. ამ სოფლის მშვენიერ ტყე-ველს მგზავრი აღტაცებაში მოჰყავს. ნიადაგი მეტად ნაყოფიერია და ამის გამო ხვნა-თესვას ძალიან მისდევენ აქ სოფლელები. ამ სოფლის მკვიდრნი სთესვენ უმეტესს ნაწილად სიმინდს, რადგანაც ჩვენში სიმინდმა უფრო უხვი მოსავალი იცის. აგრეთვე მისდევენ შინაურ პირუტყვის მოშენებას, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს. სოფ. ხორგაში 800 კომლამდე იქნება. ჩვენი სოფელი ზუგდიდის სხვა სოფლებთან შედარებით უფრო კარგადა სცხოვრობს, მაგრამ უგზოობა წინადაც გვაწუხებდა და ეხლა ხომ თითქმის ეს შეწუხება გაორკეცდა შემდეგის მიზეზისა გამო: შარშანწინ ჩვენმა სოფელმა სთხოვა მართებლობას, რომ იმ გზა-ტკეცილითგან, რომელიც ზუგდიდშია გაყვანილი, ერთი შტო ჩვენის სოფლის სასამართლომდის გამოეყვანათ. მართებლობისაგან თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და გზა გათხარეს სოფ. ხობიდამ სოფლის სასამართლომდინ, მაგრამ ვაი ამისთანა გათხრას! გზა მოუკენჭავი დარჩა და სიარული უფრო გაძნელდა, მეტადრე ავდრებში. ამ გზაზედ ურემს არ გაევლება და ცხენი ხომ მუხლებამდის იფლობა ტალახში. თუ ღამე მოუხდა კაცს სიარული ამ გზაზედ—მშვიდობით ცოლო და შვილო!.. იმედი უნდა დაჰკარგოს შინ მშვიდობით მისვლისა.

***

სწავლა-განათლების სურვილმა აქაც იჩინა თავი. აქ წლეულს გამართეს ორ-კლასიანი სასწავლებელი და ამ სასწავლებელში ასამდე შეგირდი ითვლება. გლეხობამ ამ საქმისთვის არაჩვეულებრივი სიუხვე გამოიჩინა: თუმცა შენობა სკოლისა გლეხებს 2500 მანათი დაუჯდათ, მაინც შეადგინეს განაჩენი, რომ ყოველ-წლივ იხადონ სკოლის სასარგებლოდ 600 მანათი.

ამ ხანებში აზნაურობამაც მოინდომა განაჩენის შედგენა შემდეგის შინაარსისა: ყოველ-წლივ შეეტანა სკოლის სასარგებლოდ 300 მანათი, მაგრამ ეს განაჩენი ვერ დამტკიცდა სრულიად უსაფუძვლო მიზეზისა გამო; რადგანაც აზნაურობა არ იყო ჩვეული მუდმივ გადასახადს, ამის გამო ვერ შესდგა განაჩენი 63 კაცისაგან ხელ-მოწერილი.

თუმცა განაჩენი ვერ შესდგა, მაგრამ აზნაურებთ შორის აღმოჩნდნენ სკოლის განკარგების მსურველნი, რომელნიც დაჰპირდნენ გლეხობას, რომ სკოლის სასარგებლოდ კაცის თავზე ხუთ ხუთ თუმანს გამოვიღებთო. ეს აზნაურნი არიან: გიორგი საბას ძე გაბუნია, პახვალა როსტომას ძე ლიფონავა და ოტია გვალია, ისიდორე ბერაია და პავლე ქითავა და, იმედია, კიდევაც არ უმტყუნებენ თავიანთ პირობას. აგრეთვე დიდი ღვაწლი მიუძღვის სკოლის გამართვაში აქაურ მამასახლისს—პეტრე ბერაიას. ასეთმა მოქმედებამ ხორგის საზოგადოებისამ სასიამოვნო გავლენა იქონია სხვა სოფლების გლეხებზედაც. ამათის მიხედვით, იმათაც დაიწყეს ზრუნვა თავიანთ სკოლებზე:

ბოლოს არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ ჩვენის სოფლის გაჭირვება უაფთიაქობის გამო. ავად-მყოფის პატრონმა 30—40 ვერსი უნდა გაირბინოს, რომ წამალი მოაშველოს თავის ავად-მყოფს. კარგი იქნებოდა, რომ აღმოჩენილიყო იმისთანა კაცი, რომელსაც აფთიაქი გაემართა სოფ. ხორგაში თუ არა, ხობში მაინც, როგორც შუა ადგილში, საიდამაც შეუძლიანთ ისარგებლონ ბევრს სოფლებს; აგრეთვე მეტად საჭიროა, რომ ხობში გაჰმართონ ერთი ფოსტის ყუთი წერილების გასაგზავნად...

მიხეილ ლიფონავა

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ყმაწვილები ყოველთვის დიდრონებს ჰბაძვენ, დიდრონებისაგან იღებენ მაგალითს. კარგი, თუ დიდრონები კარგს მაგალითს უჩვენებენ, ყმაწვილებისთვის ეს საუკეთესო სკოლაა. მაგრამ თუ ყმაწვილები ყმაწვილობას ივიწყებენ, დიდრონობას ჩემობენ და ისეთს საქმეებს ეჭიდებიან, რომელიც მათის ნორჩის გონების, მათის გამოცდილებისთვის სრულიად მიუწდომელია, მაშინ ასეთი ამბავი სიკეთედ ვერ ჩაითვლება, კარგს და სანუგეშოს ვერას მოასწავებს.

ეს აზრი მოგვივიდა ფიქრად, როდესაც გაზეთ „Моск. Вѣд.“-ში ფილიპოპოლიდამ ერთი მოწერილი ამბავი წავიკითხეთ. აი კორრესპონდენტი რას მოგვითხრობს:

> აქ ბევრი ახალი ამბავია, მაგრამ ყველაზე მეტად ერთი ამბავი იქცევს ჩვენს ყურადღებას: ეს ამბავი გახლავთ—მოსწავლე ყმაწვილთა ამბოხება...
>
> რადგანაც ჩვენ დიდი ღვაწლი მიგვიძღვის მთავრობის წინაშე, ჩვენ, მოსწავლეთა, ბევრი სამსახური გაგვიწევიაო...
>
> რასაკვირველია, ეს შეგირდები, რომელნიც სახელმწიფო საქმეებში ერეოდნენ, ეგზამენს ველარ დაიჭერდნენ, რიგიანად სწავლისთვის ამათ აღარ ეცალათ. ამ პატარა მეამბოხეთა დეპეშა გაუგზავნეს მინისტრს და თან გარდასწყვიტეს, რომ სკოლაში ნულარ ვივლითო.

ამ ამბოხების შედეგი, როგორც კორრესპონდენტი გვარწმუნებს, ის იყოვო, რომ გიმნაზია სრულიად დახურეს და სწავლა შესწყვიტეს.

მცირე-წლოვანი, სწავლას მოკლებულნი შეგირდნი, პოლიტიკოსები რადას აკეთებენ, სად წავიდნენ?

> საქმე იპოვესო, მოგვითხრობს იგივე კორრესპონდენტი. მაგალითად, ამ დღეებში სოფიის ყავახანებში დადიოდნენ ეს მოსწავლეები,...

თუ ყველა ეს მართალია, რასაც კორრესპონდენტი მოგვითხრობს, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერ საქებურს საქმეს სჩადიან ბოლგარიის მართველნი, რომ მოსწავლე ყმაწვილებს პოლიტიკაში ურევენ...

***

გრაფ ტოლსტოის სწავლა-მოძღვრება, რომ ყველა კაცმა თავის საკუთარის შრომით და გამრჯელობით უნდა მოიპოვოს საცხოვრებელი საზრდო, თან-და-თან უფრო ვრცელდება და ფეხს იდგამს საზოგადოებაში. ამას წინად, მაგალითად, გაზეთებში სწერდნენ, რომ ერთი მდიდარი ახალგაზდა ქალი, რომელმაც ინსტიტუტში სწავლა შეასრულა, ისე გაიტაცა ტოლსტოის მოძღვრებამ, რომ ქალმა ყველაფერს თავი დაანება და მოსამსახურედ შევიდა ერთ სახლობაში. დღეს გაზეთი „Новое Время“ კიდევ ერთს ამისთანა ამბავს მოგვითხრობს:

> ერთმა ახალგაზდა, დიდის გვარეულობის და შეძლებულმა აფიცერმა, თავი დაანება სამსახურს, მშობლებს, ნათესაობას, მეგობრებს, განცხრომილ ცხოვრებას, ქვეყნის სიამოვნებას და წავიდა სოფელში. „უნდა გლეხურად ვიცხოვრო, ესე იგი ვხნა, ვთესო, ბუხრები ვლესო გრაფ ტოლსტოისავითაო“, ასე ამბობს თურმე თვითონ აფიცერი. ბევრი ურჩიეს, მშობლები და ნათესავები ბევრს ეხვეწებოდნენ, თავი დაანებე შენს განზრახვას, დარჩი ისევ აქაო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ნუ თუ ეს ამბავიც დროის მოსასწავებელი არ არისო,—საფუძვლიანად ამბობს გაზეთი.

დეპეშა

28 ოქტომბერი

პეტერბურგი. „Journal de St.-Pèterburg“-ი აღნიშნავს ავსტრიის იმპერატორის მშვიდობის მოამხწავებელ სიტყვას, რომელიც იმპერატორს დელეგაციების თავმჯდომარეთა წინ წარმოუთქვამს, და ამბობს: დამამშვიდებელი ხასიათი ამ სიტყვისა სრულიად ეთანხმება რუსეთის მთავრობის ზომიერ მოქმედებასა. ავსტრიის იმპერატორი ფილიპოპოლის მეამბოხეთა ხელის დღევანდელ უწესობის მიზეზად და პასუხის მგებლად და ამ უკეთესი პასუხისა რადიკალ-მმართველებისთვის, რომელნიც თავს იმათი მართლულობენ რომ კონსტიტუციის ძალით კანონიერად ვიქცევითო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სახელმწიფონი მონაწილეობას მიიღებენ და ეცდებიან მოსპონ დღევანდელი გაჭირება და მოაშორონ საქმეს ის მეამბოხენი, რომელთა წყალობით დღეს კანონიერი წესიერება ვერ ჩამოვარდნილა ბოლგარიაში.

ვარნა. შაბათს ერთი რუსეთის გემი ბურგასში წავიდა. აფიცრები და ჯარის კაცნი გემისა „Память Меркурія“ ხშირად გამოდიან ნაპირზედ და ბოლგარები ძალიან მეგობრულად ექცევიან.

ტირნოვო. მთავრის ამორჩევა სასვალიოდ არის გადადებული. ჭორაობენ აგრეთვე, რომ სამინისტრო შეიცვლება და რუსეთის მომხრენი იქნებიან ამორჩეულნი, რომ იქნება ამ სახით რუსეთმა დაამტკიცოს დანიის პრინცი ვოლდემარი.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲤᲝᲡᲢᲐ

ს. ჩო—ური, არ. წ—ევს. თქვენი მოწერილი ამბავი სრულიად არ დაიბეჭდება. რის დაბეჭდვაც შეიძლებოდა, „ახალ-ამბავად" ამოვილეთ.

ს. ო—რს, გ. ვეზ——ლს. თქვენის „მოწერილის ამბის" პირველს ნაწილსა ვბეჭდავთ, მეორეს კი ვერა: ის საგანი, რომელზედაც თქვენ ჰლაპარაკობთ, იმდენად ყურადღების ღირსია, რომ გაკვრით ორიოდე სიტყვის თქმა ამაზედ საკმარისი არ არის. ჩვენის ფიქრით, ეს საგანი უფრო ვრცლად უნდა იყოს გამოკვლეული და ყოველის მხრივ აწონილ-დაწონილი და მოკლე მოწერილ ამბავში კი ეს ძნელი მოსახერხებელია.

ს. კ—ხი, ი. კა—ხელს. თქვენი „მოწერილი ამბავი" ვერ დაიბეჭდა...

ს. ქვემო-მაჩ—ნი, დ. ნ—ძეს. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და თქვენი განზრახვა შეგასრულებინოთ. თქვენი აზრი დაწვრილებით შეგვატყობინეთ, წერილს მაშინ სიამოვნებით დავბეჭდავთ და ამ საგანზე ჩვენც, რამდენადაც შევიძლებთ, ჩვენს აზრს გამოვთქვამთ.

ᲡᲐᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ 31 დღით არის.

30 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწ. ზინოზ, დისა ზინობია, წმ. მოციქ. მარკოზისა. სომეხ. წმ. იოანე ოქროპირისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—11. ტფილისში მზე ამოდის 6—45, ჩადის 4—44; მთვარე ამოდის 5—10, ჩადის 5—43.

31 დღე პარასკევი. წმ. მოციქ. სტაქისი და ღირსისა სპირიდონისა. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—18. ტფილისში მზე ამოდის 6—46, ჩადის 4—43; მთვარე ამოდის 5—49, ჩადის 6—42.

ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 30 დღით არის.

1 დღე შაბათი. წმ. კოსმან და დამიანე. კათოლ. დღესასწაული ყველა წმინდანთა. სომეხ. ყოველთა წმიდათა, ძველთა და ახალთა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—26. ტფილისში მზე ამოდის 6—47, ჩადის 4—42; მთვარე ამოდის 6—32, ჩადის 7—43.

2 დღე კვირა. აკინდიანესი და ელპიდიფორისა და სხ. სომეხ. მე-8 კვირა ამაღლებიდგან (ქორწინების ნება ეძლევათ). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—36. ტფილისში მზე ამოდის 6—48, ჩადის 4—41; მთვარე ამოდის 7—22, ჩადის 8—43.

3 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. აკეპსიმე. განახლება ტაძრისა წმ. დიდის მოწამ. გიორგისა. კათოლ. ეპისკ. გუბერტისა და მალახიასი. სომეხ. წმ. სტეფანესი, რომთა მამა მთავარ. და მღვდელთა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—46. ტფილისში მზე ამოდის 6—49, ჩადის 4—40; მთვარე ამოდის 8—17, ჩადის 9—40.

4 დღე ხამშაბათი. წმ. ნიკანდორესი. კათოლ. ეპისკ. ალმსაარ. წმ. კარლ ბართმეასი. სომეხ. წმ. აკეპსიმე ეპისკ. და სხვ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—56. ტფილისში მზე ამოდის 6—50, ჩადის 4—39; მთვარე ამოდის 9—17, ჩადის 10—34.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა	3	›
› › 2 ›	2½	›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½	›
› › 2—	3	›
› › 3 ›	2½	›

ჯვარის მამის პურის ღავაში

1-ლის ხარისხისა . .	4½	›
მე-2 ხარისხისა . .	3½	›
მე-3 — . . .	3	›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7	›
‹ › 2	6	›
სუკი	13	›
ცხვრის ხორცი . . .	6	›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 28-Ს ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ 1886 წ.

ᲤᲐᲡᲔᲑᲘ:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანათიანი ოქრო	—	—	8 მ. 63 კ.
ტამოჟნის კუპონები.	—	—	167¼ მან.
5% პირველის შინაურის სესხის მომგები ბილეთი	—	—	239 მან.
— მეორისა	—	—	221 მან.
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	97 მან	—
ქუთაისის ბანკისა	—	97 მან.	—

ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡᲐ

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.	სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დ ი ლ ი თ					დ ი ლ ი თ			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი .	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . .	10	21	10	27
კასპი. . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	ხამტრედია	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი .	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	ყვირილა .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		ს ა ღ ა მ ო თ ი			
	ს ა ღ ა მ ო თ ი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	ხაშური . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
ხამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	გორი . . .	7	59	8	9
ნიგოითი . .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	ტფილისი .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დ ლ ი ს ი თ					ღ ა მ ი თ			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	ხაშური . .	2	47	3	2
მცხეთა. . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	გორი . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	ს ა ღ ა მ ო თ ი					დ ი ლ ი თ			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი. . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	ტფილისი .	8	24	—	—

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

16 მომავალს ნოემბერს, დილის 10 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დანიშნულია საგანგებო კრება წევრთა «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა განსახილველად: ა) ბათუმის სკოლის საქმისა, ბ) წიგნების ბეჭდვისა და გ) ახალთა წევრთა ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც ქალაქ გარედ ცხოვრებისა გამო აღარ შეუძლიანთ მართველობის წევრის თანამდებობის აღსრულება. (5—5)

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა."

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, სათავად-აზნაურო ბანკის ქვეშ, არწრუნისეულ სახლებში (подъ помѣщеніемъ Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго б нка) ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში". I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—23)

გამოვიდა და ისყიდება ქუთაისში, ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში

ქართული წერის დედანი

ვ. ბაბიჩვაძისა

ფასი 30 კაპ. ვინც ოც-და ათს, ანუ მეტს ეგზემპლიარს იყიდის, ეგზემპლიარი 24 კაპ. დაეთმობა და გაეგზავნება. (3—2)

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ფასი 45 კაპ.

ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. ქუთაისში: გჭილაძის მაღაზიაში. თელავში: ვ. როსტომაშვილთან; ხიდნადში: ვ. ქიტიაშვილთან; სურამში: ა. ქარსიძესთან; ფოთში: ხუმარაძესთან. ყვირილაში ბლად. ღამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ [illegible] შაურად.

ქართული სამეურნეო გაზეთი

„ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ"

1887 წ. იანვრის პირველიდგან გამოვა კვირაში ორჯელ, ხუთ-შაფათობით და კვირაობით.

ᲐᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ:

1) მმართებლობის განკარგულება, შესახებ მამულის შემუშავებისა და მამულის მფლობელობისა.

2) სხვა-და-სხვა ცნობები, შესახებ მეურნეობისა. აქ იქნებიან დაბეჭდილნი: ხვნა-თესვა, სოფლიური სახლოსნობა, ხვნა-თესვის იარაღის გაუმჯობესობა, ვენახების უკეთესად მოვლა და ღვინის გაუმჯობესობა; პირუტყვის მოშენება, ფუკრის მოვლა, გამრავლება და საზოგადოდ სასარგებლო მამულის შემუშავების ცნობები.

3) სახალხო ჰიგიენა. ამ ნაწილში შემოვიტანთ იმ ცნობებს, თუ რა გვარად სწამლობენ შინაურად დაჭირების დროსა.

4) ადგილობრივი კორრესპონდენციები სხვა-და-სხვა კავკასიის მხრიდამ. მომეტებით უფრო მამულების მოვლის შესახებ.

5) მოკლე მოთხრობები და ამბავები, რუსეთის სახელმწიფოს ცხოვრებიდამ.

6) ფელეტონი: მოკლე ლექსები და წერილები, როგორც ნამდვილნი, ისე ნათარგმნი, იმ გვარნი, რომელნიცა შეიცავდენ ზნეობითსა აზრებსა.

7) მოკლე ცნობები, რომელნიცა ხედებიან როგორც რუსეთში, ისე სამზღვარს გარეთ, მმართებლობის მოანბიდგან გამოკლებულნი.

8) სასმელ-საჭმლის მაზანდა ტფილისში, თუ ადგილობრივ სოფლებში. განცხადებები პალატის და ტფილისის მაზრის სამსჯავროებში დანიშნულს საქმეებზედ, და სხვა-და-სხვა განცხადებები, როგორც სახაზინო, ისე კერძო საქმეებისა, უფრო ისეთის სახაზინო საქმეებისა, რომელნიცა ნარდად (ფოდრატით) ეძლევიან გასაკეთებლად ვაჭარ ხალხსა.

ფასი „ცისკრისა".

ადგილობრივ გაგზავნით, თუ გაუგზავნელად, წელიწადში 6 მან. თვეობით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ცალკე ნომერი „ცისკრისა" ეღირება—ერთ შაურად.

ვისაცა ჰსურს ამ გაზეთის დაბარება, უნდა მიჰმართოს: 1) «ტფილისში, თვითან რედაქციას, ვერის დიდ ქუჩაზედ, წილოსანის სახლებში.

2) გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, სემენარიის პირ-და-პირ, ზუბალოვის სახლებში, სადაცა არის თვითან „ცისკრის" კანტორაცა. 3) გრიქუროვის წიგნის მაღაზიას, ხიდის ყურზედ, ზუბალოვის სახლებში.

რედაქტორი ი. კერესელიძე

Дозволено цензурою. Тифлисъ 29 октября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე